საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1254 2022 წლის 13 ივლისი ქ. თბილისი

უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო საქართველოში შემოსული უკრაინის მოქალაქეთა და უკრაინაში მუდმივი ცხოვრების უფლების მქონე პირთათვის სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის ღონისძიებების შესახებ

1. უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო საქართველოში შემოსულ უკრაინის მოქალაქეებსა და უკრაინის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრების უფლების მქონე პირებს გაეწიოთ ამ განკარგულებით გათვალისწინებული სოციალურ-ეკონომიკური დახმარება.

2. ამ განკარგულების საფუძველზე, უკრაინის მოქალაქეებისა და უკრაინის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრების უფლების მქონე პირების დახმარების ძირითადი ღონისძიებების ორგანიზება დაევალოთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსა და სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს.

3. ამ განკარგულების ფარგლებში სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერა გავრცელდება იმ პირზე, რომელიც აკმაყოფილებს რომელიმე შემდეგ ძირითად კრიტერიუმს:

ა) პირი საქართველოში შემოსულია ან შემოვა 2022 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 15 ივლისამდე და 2022 წლის 24 თებერვლის შემდგომ უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო ვერ ახერხებს მოქალაქეობის ქვეყანაში და/ან მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებას, ამასთან, განთავსებულია სხვადასხვა საჯარო დაწესებულებების მიერ დაფინანსებულ სასტუმროებში და მოითხოვს სახელმწიფოსგან ამ განკარგულებით გათვალისწინებულ დახმარებას;

ბ) პირი საქართველოში შემოვა 2022 წლის 15 ივლისის შემდგომ უკრაინაში საომარი მოქმედებების არსებობის შემთხვევაში და ამ მიზეზით ვერ ახერხებს მოქალაქეობის ქვეყანაში და/ან მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებას და მოითხოვს სახელმწიფოსგან ამ განკარგულებით გათვალისწინებულ დახმარებას.

4. ამ განკარგულების მიზნებისათვის, საქართველოში შემოსული პირი უნდა ფლობდეს უკრაინის მოქალაქეობის დამადასტურებელ პასპორტს ან უკრაინის სახელმწიფოს მიერ გაცემულ იმგვარ დოკუმენტს, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება და დასტურდება მისი უკრაინაში მუდმივად ცხოვრების უფლება.

5. ამ განკარგულების მიზნებისათვის, უკრაინიდან შემოსულ პირთა იდენტიფიცირება და აღრიცხვა სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის მიზნით, გარდა ამავე განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ძირითადი კრიტერიუმებისა, დამატებითი კრიტერიუმების შემუშავება, მათი განცხადების საფუძველზე საჭიროებების განსაზღვრა და დაფინანსების გაცემის საკითხების გადაწყვეტა დაევალოს სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს.

6. ამ განკარგულების მიზნებისათვის, დაევალოთ სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს ან/და სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებებს, განახორციელონ:

ა) ამ განკარგულების მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირების იდენტიფიცირება სხვადასხვა საჯარო დაწესებულების მიერ დაფინანსებულ სასტუმროებში, ამავე განკარგულების მე-5 პუნქტის საფუძველზე შემუშავებულ კრიტერიუმებთან თავსებადობის 2022 წლის 1 აგვისტომდე განსაზღვრის მიზნით;

ბ) ამ განკარგულების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირების იდენტიფიცირება საქართველოს სახელმწიფოს სახმელეთო საზღვარზე, ამავე განკარგულებით განსაზღვრული დახმარების გაწევის მიზნით.

7. პირებს, რომელთა იდენტიფიცირება მოხდა ამ განკარგულების მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ან რომელთა მიმართაც ვერ განხორციელდა ამავე განკარგულების მე-6 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოები, შესაძლებლობა ექნებათ, მიმართონ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ სერვისცენტრს, რომელიც, თავის მხრივ, მიღებულ ინფორმაციას მიაწვდის სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, ამ განკარგულების მე-5 პუნქტის საფუძველზე შემუშავებულ კრიტერიუმებთან თავსებადობისა და მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის განსაზღვრის მიზნით.

8. ამ განკარგულების მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირებს, რომლებიც დააკმაყოფილებენ ამავე განკარგულების მე-5 პუნქტის საფუძველზე შემუშავებულ კრიტერიუმებს, საცხოვრებელი პირობების შექმნისთვის, 3 თვის ვადით, განესაზღვროთ დაფინანსება ოჯახზე (მათ მიერ განსაზღვრული პირთა წრე) თვეში 300 ლარის ოდენობით, ხოლო საარსებო პირობების უზრუნველსაყოფად – პირზე 45 ლარის ოდენობით. ამ დაფინანსების გაცემას უზრუნველყოფს სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო, სახელმწიფო გასაცემლების გაცემის მომსახურე საბანკო დაწესებულების მეშვეობით, სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ მიწოდებული სიის საფუძველზე, მხარეთა მიერ შეთანხმებული ფორმატით. სსიპ – სოციალური

მომსახურების სააგენტოს არ აქვს უფლება, შეიტანოს რაიმე ცვლილება სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ წარდგენილ სიებში. გადარიცხული ფულადი გასაცემელი უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება. ამ პუნქტით საარსებო პირობების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული 45 ლარი მომდევნო თვიდან არ გაიცემა პირზე, რომელმაც ყოველთვიური შემწეობის – 45 ლარის მიღების უფლება მოიპოვა „საერთაშორისო დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და/ან დატოვა საქართველოს ტერიტორია. ამავე პუნქტით საცხოვრებელი პირობების შექმნისთვის გათვალისწინებული 300 ლარის დაფინანსება აგრეთვე მომდევნო თვიდან შეუწყდება ოჯახს, თუ მისი ყველა წევრი დატოვებს საქართველოს ტერიტორიას. ამ განკარგულებით განსაზღვრული პირების მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვების და/ან „საერთაშორისო დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ყოველთვიური შემწეობის – 45 ლარის მიღების თაობაზე ინფორმაციას სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს პერიოდულად აწვდის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

9. ამ განკარგულების მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირების ამავე განკარგულების მე-5 პუნქტის საფუძველზე შემუშავებულ კრიტერიუმებთან თავსებადობის შესახებ ინფორმაცია დაუყონებლივ ეცნობება იმ საჯარო დაწესებულებას, რომლის მიერაც დაფინანსებულ იქნა მათი სასტუმროებში განთავსება, შემდგომში ამ საჯარო დაწესებულებათა მიერ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

10. ამ განკარგულების მე-6 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები, ამავე განკარგულების მე-8 პუნქტით განსაზღვრული დაფინანსების საკითხის გადაწყვეტამდე, სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ უზრუნველყოფილ იქნებიან საცხოვრისით (ფართი, რომელშიც არის მინიმალური საცხოვრებელი პირობები, მათ შორის, სასტუმრო/საოჯახო ტიპის სასტუმრო და სხვა), მაგრამ არა უმეტეს 10 კალენდარული დღისა. განსაკუთრებულ

შემთხვევაში, ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადა შესაძლებელია, გაგრძელდეს ამ განკარგულების მე-16 პუნქტის საფუძველზე მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

11. ამ განკარგულების მე-10 პუნქტით განსაზღვრული საცხოვრისის დაქირავებას ან შესაბამისი მომსახურების შესყიდვას (კვებით ან მის გარეშე, რომლის საჭიროებას განსაზღვრავს სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო) განახორციელებს სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საცხოვრისში პირების განთავსებისა და გაყვანის შესახებ ინფორმაციას სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო აწვდის სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს, რის საფუძველზეც, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დგება მიღება-ჩაბარების აქტი. საცხოვრისის დაქირავების ან შესაბამისი მომსახურების შესყიდვის გადაუდებელი ან გამარტივებული შესყიდვით განხორციელების აუცილებლობის საჭიროების შემთხვევაში, შესყიდვები განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

12. დაევალოს სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, ამ განკარგულების მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული იდენტიფიცირებული პირების ტრანსპორტირება ამავე განკარგულების მე-10 პუნქტით განსაზღვრულ საცხოვრისამდე.

13. ამ განკარგულების მე-10 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, ეთხოვოთ თვითმმართველი ქალაქების მერიებს და დაევალოთ სახელმწიფო რწმუნებულებს, უზრუნველყონ შესაბამისი საცხოვრისების მოძიება და ამ ინფორმაციის პერიოდულად მიწოდება სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსთვის.

14. ამ განკარგულების მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა საჯარო დაწესებულებებმა უზრუნველყონ სსიპ –

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსათვის იმ პირთა სიის მიწოდება, რომლებიც განთავსებულნი არიან მათ მიერ დაფინანსებულ სასტუმროებში.

15. ამ განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების პროცესში წამოჭრილი საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით, დაევალოს ყველა საჯარო დაწესებულებას, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილობითი მიმართვის საფუძველზე, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყონ შესაბამისი დახმარების გაწევა.

16. დაევალოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ამასთან, მის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსა და სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს, ამ განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისათვის დეტალური გეგმისა და კრიტერიუმების განსაზღვრის მიზნით, გამოსცენ შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

17. ამ განკარგულებით განსაზღვრული გასაცემლისა და მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდეს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში („მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება“, პროგრამული კოდი: 27 02 02).

18. ამ განკარგულებით გათვალისწინებული გასაცემლები, რომელთა დაფინანსება ვერ განხორციელდა კონკრეტულ კალენდარულ წელს, დაფინანსდეს მომდევნო წლების სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის სამინისტროსათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში („მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება“, პროგრამული კოდი: 27 02 02).

19. ამ განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ, შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვების გადაუდებელი ან გამარტივებული შესყიდვების აუცილებლობის საჭიროების შემთხვევაში, შესყიდვები განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსათვის შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნენების ფარგლებში („საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა“, პროგრამული კოდი: 27 06 04).

20. ამ განკარგულებით გათვალისწინებული პირები ისარგებლებენ „უკრაინის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების გამო განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის №387 განკარგულების მე-5 პუნქტის „ა“ – „ი“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სამედიცინო სერვისებით.

21. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**